

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

ენიმო რიხელი*

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ №3კ/1184-01 გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ. პალატამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოპასუხეზე დაკისრებული ასანაზღაურებელი ზიანის თანხა, მხედველობაში მიიღო რა მოსარჩელესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

1. საქმის გარემოებანი

მოსარჩელესა, რომელიც ეწეოდა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, და ბულგარულ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების (რომლის თანახმადაც, ბულგარულ კომპანიას მოსარჩელისათვის უნდა მიენოებინა პროდუქცია ბოთლების სახით) შესრულების მიზნით მოსარჩელემ საგადასახადო დავალების თანხლებით ბანკში (მოპასუხე) შეიტანა 8 000 აშშ დოლარი ბულგარული კომპანიისათვის გადასარიცხად. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის თანამშრომლები ინფორმირებულნი იყვნენ გადარიცხვის მნიშვნელობის თაობაზე, ბანკმა უსაფუძვლოდ განაცხადა უარი საგადასახადო დავალების შესრულებაზე და აღნიშნული თანხა მიმართა მოსარჩელის ბანკისადმი არსებული დავალიანების დასაფარავად. თანხის დროულად არგადარიცხვის გამო, ბულგარულმა კომპანიამ ვერ შეძლო დათქმულ დროს პროდუქციის გადატვირთვა, რამაც ჩაშალა მოსარჩელის მიერ სასმელის ჩამოსხმა-რეალიზაცია და განაპირობა მისი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (სასმელის მიწოდების თაობაზე) შეუსრულებლობა. ამ უკანასკნელი ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს რუსული კომპანიისათვის დათქმულ ვადაში უნდა მიენოებინა პროდუქციის პირველი პარტია. მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო რუსულმა კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურება პირგასამტეხლოს თანხის – 160 000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 64 000 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ 2001 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, კოლეგიამ მოპასუხეს დააკისრა 188 000 აშშ დოლარის გადახდა, აქედან 160 000 აშშ დოლარი შეადგენდა მოსარჩელეზე დაკისრებულ პირგასამტეხლოს და 28 000 აშშ დოლარი – მიუღებელ შემოსავალს.

კოლეგიამ მიუთითა, რომ სახეზეა ზიანის ანაზღაურებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი პირობა: ზიანი, მართლსაწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.

* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

ამასთან, კოლეგიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენება მოსარჩელესა და მესამე პირს (რუსულ კომპანიას) შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს შეუსაბამობისა და სავარაუდო ზიანთან მისი თანაფარდობის შეფასებისათვის, რადგან ჩათვლა, რომ მოსარჩელესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების განხილვით გასცდებოდა სარჩელის განხილვის ფარგლებს.

2. უზენაესი სასამართლოს შეფასება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს თავის თავზე მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულის გამო მისგან შეიძლება მხოლოდ მოთხოვნილ იქნეს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზარალი არის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი ასეთი ხელშეკრულების დარღვევისა. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონიერი ადამიანის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების კონკრეტული დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, როდესაც ზიანი გამოწვეულია დაზარალებულ მხარესა და მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად სავარაუდო შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი პირგასამტეხლოს არსებობა მოპასუხისათვის. თუ დაზარალებულ მხარესა და მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და მისი ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ კრედიტორის ძირითად ინტერესს, გაუმართლებელია ასეთი ზიანის სავარაუდოდ მიჩნევა და მოპასუხისათვის მისი ანაზღაურების დაკისრება, მით უმეტეს, რომ მოსარჩელეს აქვს კანონიერი საფუძველი, ასეთი პირგასამტეხლო გახადოს სადავო და უარი თქვას მის გადახდაზე (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი).

დარღვეული ხელშეკრულების ჩვეულებრივ და ნორმალურ შედეგს არ შეიძლება წარმოადგენდეს კრედიტორის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, რომლის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ძირითადი ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის ყოველგვარ ინტერესს.

ვინაიდან მოსარჩელის მიერ ბანკში გადარიცხვის მიზნით მიტანილი იყო 8 000 აშშ დოლარი, რაც მიზნად ისახავდა 160 000 ბოთლის შესყიდვას სასმელის ჩამოსხმის მიზნით (ეს ის გარემოებაა, რომელიც ცნობილი იყო მოპასუხისათვის), შეუძლებელია, მოპასუხეს ევარაუდა, რომ მოსარჩელეს, შესაძლოა, დაკისრებოდა პირგასამტეხლო, რომელიც წარმოადგენდა 8 000 000

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ბოთლი სასმელის ღირებულების 5%-ს. ბანკს არ შეეძლო ევარაუდა ასეთი ზიანის დადგომის შესაძლებლობა. ასეთი ზიანი სცილდება ხელშეკრულებით ნაკისრი მისი რისკის ფარგლებს. ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის ინტერესს, რომელიც ბანკისათვის იყო ცნობილი, წარმოადგენდა 160 000 ბოთლის მიწოდება. ეს არის ის ოდენობა, რომლის ღირებულების გათვლისწინებით უნდა დაეკისროს მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელის მიერ გადახდილი პირგასამტეხლოდან გამომდინარე.

ამდენად, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კოლეგიამ დაარღვია კანონის მოთხოვნა, როდესაც მიუთითა, რომ ის ვერ შეაფასებდა მოსარჩელესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუასბამობასა და მის თანაფარდობას სავარაუდო ზიანთან. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, კოლეგიას უნდა განეხილა მოსარჩელესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება იმ თვალსაზრისით, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მოცემული დავის კანონიერი გადაწყვეტისა და სავარაუდო ზიანის განსაზღვრისათვის.